

დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება №21
2016 წლის 22 დეკემბერი

ქ. დმანისი

„დმანისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 დეკემბრის №30 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 61-ე მუხლის პირველი და მე-2-ე პუნქტების, „ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20-ე მუხლის თანახმად, დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

„დმანისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“ დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 18 დეკემბრის №30 დადგენილებაში (www.matsne.gov.ge), 22/12/2015, 190020020.35.156.016224)) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილება:

1. დადგენილების პირველი მუხლით დამტკიცებული დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 8260,9 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 7510.9 ათასი ლარის ოდენობით და პირველი მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი სახით.
მიღებული იქნეს დმანისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის შემოსავლების ოდენობა 7510.9 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) გადასახადები – 2150,0 ათასი ლარი,

ბ) გრანტები – 4530,5 ათასი ლარი,

გ) სხვა შემოსავლები – 830.4 ათასი ლარი.

2. განისაზღვროს არაფინანსური აქტივების კლება 10,0 ათასი ლარის ოდენობით.

3. წლის დასაწყისში არსებული სახსრების ნაშთი 1606,2 ათასი ლარი მიმართულ იქნეს ხარჯების დასაფარად.

4. დადგენილების მე-17 მუხლით დამტკიცებული დმანისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით 9877.1 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 9127.1 ათასი ლარის ოდენობით და მე-17 მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით: დამტკიცდეს დმანისის მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით 9127.1 ათასი ლარის ოდენობით.

5. დადგენილების მე-17 მუხლით დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებების ორგანიზაციული კოდი 0102 – „მუნიციპალიტეტის გამგეობის“ საქონელი და მომსახურების მუხლი 548,8 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 498,8 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 287,3 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 237,3 ათასი ლარის ოდენობით.

6. დადგენილების მე-17 მუხლით დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებების ორგანიზაციული კოდი 0103 – „საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაციის“ საქონელი და მომსახურების მუხლი 100,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 110,0 ათასი ლარის ოდენობით, ხოლო არაფინანსური აქტივების ზრდის მუხლი 4477,2 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 3887.2 ათასი ლარის ოდენობით.

7. დადგენილების მე-17 მუხლით დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებების ორგანიზაციული კოდი 030201 – წყლის სისტემების რეაბილიტაცია და ექსპლუატაციის“ საქონელი და მომსახურების მუხლი



50,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 55,0 ათასი ლარის ოდენობით.

8. დადგენილების მე-17 მუხლით დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებების ორგანიზაციული კოდი 030202 – „ბინათმშენებლობის“ საქონელი და მომსახურების მუხლი 30,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 1,0 ათასი ლარის ოდენობით.

9. დადგენილების მე-17 მუხლით დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებების ორგანიზაციული კოდი 060201 – „ავადმყოფთა სოციალური დაცვის“ სოციალური უზრუნველყოფის მუხლი 87,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 90,5 ათასი ლარის ოდენობით.

10. დადგენილების მე-17 მუხლით დამტკიცებული ბიუჯეტის ასიგნებების ორგანიზაციული კოდი 0060203 – „სოციალურად დაუცველთა ოპერაციების დაფინანსების“ სოც-უზრუნველყოფის მუხლი 70,0 ათასი ლარის ნაცვლად განისაზღვროს 80,5 ათასი ლარის ოდენობით.

11. დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

დმანისის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე

ლერი ბერუაშვილი

დანართი № 1

თავი I

დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი

მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	6,741.6	7,423.5	2,314.3	5,109.2	7,510.9	2,500.6	5,010.3
გადასახადები	1,667.6	1,800.0	0.0	1,800.0	2,150.0	0.0	2,150.0
გრანტები	3,244.0	4,084.6	2,314.3	1,770.3	4,530.5	2,500.6	2,029.9
სხვა შემოსავლები	1,830.0	1,538.9	0.0	1,538.9	830.4	0.0	830.4
ხარჯები	3,351.8	3,489.2	100.0	3,389.2	3,677.3	50.0	3,627.3
შრომის ანაზღაურება	1,264.0	1,122.7	0.0	1,122.7	1,122.0	0.0	1,122.0
საქონელი და მომსახურება	874.3	896.6	100.0	796.6	1,001.3	50.0	951.3
სუბსიდიები	1,046.9	1,131.5	0.0	1,131.5	1,318.0	0.0	1,318.0
გრანტები	0.0	169.4	0.0	169.4	40.0	0.0	40.0
სოციალური უზრუნველყოფა	166.6	161.0	0.0	161.0	178.0	0.0	178.0
სხვა ხარჯები	0.0	8.0	0.0	8.0	18.0	0.0	18.0
საოპერაციო სალდო	3,389.8	3,934.3	2,214.3	1,720.0	3,833.6	2,450.6	1,383.0
არაფინანსური აქტივების ცვლილება	3,435.6	4,388.0	2,247.4	2,140.6	5,409.8	2,461.8	2,948.0



ზრდა	3,457.7	4,398.0	2,247.4	2,150.6	5,419.8	2,461.8	2,958.0
კლება	22.1	10.0	0.0	10.0	10.0	0.0	10.0
მთლიანი სალდო	-46.0	-453.7	-33.1	-420.6	-1,576.2	-11.2	-1,565.0
ფინანსური აქტივების ცვლილება	-46.0	-453.7	-33.1	-420.6	-1,576.2	-11.2	-1,565.0
ზრდა	0.0						
ვალუტა და დეპოზიტები	0.0						
კლება	46.0	453.7	33.1	420.6	1,576.2	11.2	1,565.0
ვალუტა და დეპოზიტები	46.0	453.7	33.1	420.6	1,576.2	11.2	1,565.0
ვალდებულებების ცვლილება		17.7	7.3	10.4	0.0	0.0	0.0
ზრდა							
საგარეო							
საშინაო							
კლება		17.7	7.3	10.4	30.0	0.0	30.0
საგარეო							
საშინაო		17.7	7.3	10.4	30.0	0.0	30.0
					0.0	0.0	0.0
ბალანსი	0.0				0.0	0.0	0.0

მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები		საკუთარი შემოსავლები	სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები
შემოსულობები	6763.7	7433.5	5119.2	2314.3	9127.1	6615.3	2511.8
შემოსავლები	6741.6	7423.5	5109.2	2314.3	7510.9	5010.3	2500.6
არაფინანსური აქტივების კლება	22.1	10.0	10.0	0.0	10.0	10.0	0.0
ფინანსური აქტივების კლება	0.0	0.0	0.0	0.0	1606.2	1595.0	11.2



გადასახდელები	6809.7	7887.2	5539.8	2347.4	9097.1	6585.3	2511.8
ხარჯები	3352	3489.2	3389.2	100.0	3677.3	3627.3	50.0
არაფინანსური აქტივების ზრდა	3457.7	4398.0	2150.6	2247.4	5419.8	2958.0	2461.8
ნაშთის ცვლილება	-46.0	-453.7	-420.6	-33.1	30.0	30.0	0.0

მუხლი 3. დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები
 განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 7510.9ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
შემოსავლები	6741.6	7423.5	2314.3	5109.2	7510.9	2500.6	5010.3
გადასახადები	1667.6	1800.0		1800.0	2150.0		2150.0
გრანტები	3244.0	4084.6	2314.3	1770.3	4530.5	2500.6	2029.9
სხვა შემოსავლები	1830.0	1538.9		1538.9	830.4		830.4

მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გადასახადები

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
გადასახადები	1666.7	1800.0	0.0	1800.0	2150.0	0.0	2150.0
საშემოსავლო გადასახადი	0	0.0	0.0	0.0	450.0	0.0	450.0
ქონების გადასახადი	1666.7	1800.0	0.0	1800.0	1700.0	0.0	1700.0
საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა)	1025.8	1100.0	0.0	1100.0	1100.0	0.0	1100.0
ფიზიკურ პირთა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0



ქონებაზე (გარდა მიწისა)							
სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	611.0	650.0	0.0	650.0	580.0	0.0	580.0
არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე	29.9	50.0	0.0	50.0	20.0	0.0	20.0
სხვა გადასახადები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0

მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები
 განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 4530.5 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
გრანტები	3244.0	4084.6	4530.5
სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი	3244.0	4084.6	4530.5
ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები	1075.9	1770.3	2029.9
გათანაბრებითი ტრანსფერი	960.9	1655.3	1914.9
მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად	115.0	115.0	115.0
ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	2168.1	2314.3	2500.6
საქ. რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები	1363.7	1654.5	1406
სოფლის მხარდაჭერის პროგრამა	662.5	659.8	600.6
საქართველოს მთავრობის სარეზერვო ფონდიდან და პრეზიდენტის სარეზერვო ფონდის თანხები	0.0		
სტიქის შდეგების სალიკვიდაციო ფონდი	141.9	0.0	0.0
მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდი			494.0

მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები
 განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 830.4 ათასი ლარის ოდენობით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
სხვა შემოსავლები	1830.0	1538.9	0.0	1538.9	830.4	0.0	830.4



შემოსავლები საკუთრებიდან	1714.8	1444.5	0.0	1444.5	760.0	0.0	760.0
პროცენტები	84.5	50.0	0.0	50.0	50.0		50.0
რენტა	1630.3	1394.5	0.0	1394.5	710.0	0.0	710.0
მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის	1617.3	1374.5		1374.5	650.0		650.0
შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან	13.0	20.0		20.0	60.0		60.0
საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია	62.9	44.4	0.0	44.4	30.4	0.0	30.4
ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები	21.5	12.0	0.0	12.0	11.4	0.0	11.4
სანებართვო მოსაკრებელი	18.8	7.6		7.6	5		5.0
სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი	0.4	0.4		0.4	0.4		0.4
ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის	2.3	4.0		4	6		6
სხვა არაკლასიფიცირებული მოსაკრებელი	0.0	0.0		0	0		0
არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება	41.4	32.4	0.0	32.4	19.0	0.0	19.0
შემოსავლები საქონლის რეალიზაციიდან	0.0	0.0		0.0	0.0		0.0
შემოსავლები მომსახურების გაწევიდან	41.4	32.4		32.4	19.0		19.0
ჯარიმები, სანქციები და საურავები	47.7	50.0		50.0	40.0		40.0
შერეული და სხვა არაკლასიფიცირებული შემოსავლები	4.6	0.0	0.0	0.0	0.0		0.0

მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 3677.3 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა			2016 წლის გეგმა		
		სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის	
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები
ხარჯები	3,351.8	3,364.7	100.0	3,264.7	3,677.3	50.0	3,627.3
შრომის ანაზღაურება	1,264.0	1,043.7		1,043.7	1,122.0		1,122.0



საქონელი და მომსახურება	874.3	901.1	100.0	801.1	1,001.3	50.0	951.3
სუბსიდიები	1,046.9	1,131.5		1,131.5	1,318.0		1,318.0
გრანტები	0.0	169.4		169.4	40.0		40.0
სოციალური უზრუნველყოფა	166.6	111.0		111.0	178.0		178.0
სხვა ხარჯები	0.0	8.0		8.0	18.0		18.0

მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება 5409.8 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

ა) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ზრდა 5419.8 ათასი ლარის ოდენობით, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	180.3	350.60	240.30
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	0.0	0.0	0.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	3235.9	4261.2	5179.5
0500	კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის შეღწევა და სპორტი	41.5	30.0	0.0
	სულ ჯამი	3457.7	4641.8	5419.8

ბ) განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების კლება 10.0 ათასი ლარის ოდენობით, მათ შორის:

დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
არაფინანსური აქტივების კლება	30.0	10.0	10.0
ძირითადი აქტივები	30.0	8.0	5.0
არაწარმოებული აქტივები	0.0	2.0	5.0
მიწა	0	2.0	5.0

მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ კრიტერიუმში, თანდართული რედაქციით:

კოდი	დასახელება	2014 წლის ფაქტი	2015 წლის გეგმა	2016 წლის გეგმა
701	საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება	1,994.9	2,138.9	2,090.6



7011	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები	1,994.9	0.0	0.0
70111	აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა	1,994.9	2,138.9	2,090.6
70112	ფინანსური და ფისკალური საქმიანობა	0.0		
7018	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურებაში	0.0		
702	თავდაცვა	64.0	64.0	65.0
703	საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	164.0	165.0	0.0
7031	პოლიციის სამსახური და სახელმწიფო დაცვა	0.0	0.0	
7032	ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა	164.0	165.0	0.0
704	ეკონომიკური საქმიანობა	2,725.0	2,907.4	4,022.4
7042	სოფლის მეურნეობა, სატყეო მეურნეობა, მეთევზეობა და მონადირეობა	5.2		
70421	სოფლის მეურნეობა			
7045	ტრანსპორტი			
70451	საავტომობილო ტრანსპორტი და გზები	2,719.8	2,907.4	4,022.4
705	გარემოს დაცვა	214.9	240.0	270.0
7051	ნარჩენების შეგროვება, გადამუშავება და განადგურება	214.9	240.0	270.0
706	საბინაო-კომუნალური მეურნეობა	639.2	1,297.3	1,403.1
7061	ბინათმშენებლობა	113.5	247.3	238.3
7063	წყალმომარაგება	291.5	228.3	55.5
7064	გარე განათება	24.3	50.0	103.3
7066	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა საბინაო-კომუნალურ მეურნეობაში	209.9	771.7	1,006.0
707	ჯანმრთელობის დაცვა	48.0	48.0	48.0
7074	საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება	48.0	48.0	48.0
708	დასვენება, კულტურა და რელიგია	481.5	480.0	585.0
7081	მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში	166.7	155.0	160.0
7082	მომსახურება კულტურის სფეროში	314.8	325.0	425.0
709	განათლება	296.0	325.0	387.0
7091	სკოლამდელი აღზრდა	241.0	270.0	322.0
7096	განათლების სფეროს დამხმარე მომსახურება	55.0	55.0	65.0
710	სოციალური დაცვა	182.2	239.3	256.0
7101	ხანდაზმულთა სოციალური დაცვა	55.8	115.0	256.0



71011	ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა	0.0	0.0	0.0
7107	სოციალური გაუცხოების საკითხები, რომლებიც არ ექვემდებარება კლასიფიკაციას	41.4	47.0	0.0
7109	სხვა არაკლასიფიცირებული საქმიანობა სოციალური დაცვის სფეროში	85.0	77.3	0.0
	სულ	6,809.7	7,904.9	9,127.1

მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო 1576.2 ათასი ლარით.

მუხლი 11. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება 1576,2 ათასი ლარით.
2. განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 1576,2 ათასი ლარით.

მუხლი 12. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ვალდებულებების ცვლილება 30,0 ათასი ლარით.

მუხლი 13. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდი

საგანგებო ან/და გაუთვალისწინებელი ხარჯების, აგრეთვე სხვა ადგილობრივი მნიშვნელობის ღონისძიებების დაფინანსების მიზნით მუნიციპალიტეტის ადგილობრივ ბიუჯეტში შეიქმნას სარეზერვო ფონდი 100.0 ათასი ლარის ოდენობით.

მუხლი 14. სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი

1. დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი, 115.0 ათასი ლარი მიიმართოს:

ა) „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 48.0 ათასი ლარი;

ბ) „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 65.0 ათასი ლარი;

გ) „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის 2,0 ათასი ლარი.

2. საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის 69-ე მუხლის საფუძველზე, წლის განმავლობაში შესაძლებელია დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ამ მუხლის პირველი პუნქტით განსაზღვრულ ღონისძიებებს შორის ურთიერთგადანაწილება.

მუხლი 15. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი II

ღმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

მუხლი 16. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები

1. თავდაცვა

ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ხარისხის ამაღლების ხელშეწყობის მიზნით მუნიციპალიტეტში ხორციელდება სამხედრო აღრიცხვის და გაწვევის, წვევამდელთა სამედიცინო შემოწმებისა და ტრანსპორტირების ღონისძიებები.



1.1 ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 02 02)

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის დმანისის მუნიციპალიტეტში ხორციელდება წვევამდელთა ჯანმრთელობის მდგომარეობის გამოკვლევა და მათი გაწვევის პუნქტებამდე ტრანსპორტირების უზრუნველყოფა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

- არსებული რესურსებისა და თავდაცვის მოთხოვნების გათვალისწინებით ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის გაუმჯობესებისათვის მუნიციპალიტეტის მცხოვრებთა სამხედრო აღრიცხვის, სამხედრო სამსახურისათვის მომზადებისა და გაწვევის კოორდინაცია;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საქართველოს სამხედრო ძალების ჯანმრთელი ახალგაზრდა თაობით უზრუნველყოფა;

2. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 00)

მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალური ინფრასტრუქტურის შემდგომი გაუმჯობესება და აღნიშნული მიმართულება დმანისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. აქედან გამომდინარე 2016 წლის განმავლობაში გაგრძელდება საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია. ქალაქში გარე განათების ქსელის რეაბილიტაცია. მუნიციპალური ინფრასტრუქტურის მშენებლობისა და რეაბილიტაციის გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება არსებული ინფრასტრუქტურის მოვლა შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლოატაციასთან დაკავშირებული ხარჯები.

2.1 საგზაო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და მოვლა-შენახვა (პროგრამული კოდი 03 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება დმანისის მუნიციპალიტეტში არსებული რეაბილიტირებული ცენტრალური გზების მდგომარეობის შენარჩუნება და ახალი/მეორე მნიშვნელობის გზებისა და შიდაკვარტალური მისასვლელი გზების რეაბილიტაცია კერძოდ: ქ.დმანისში მესტიის, თამარ მეფის, ყაზბეგის, ჭუბერის, ჩოლოყაშვილის, აღმაშენებლის ქუჩების მოასფალტება, დასახლებაში სასაფლაოს მისასვლელი გზის მოასფალტება და სანიაღვრე არხის მოწყობა. ასევე სოფლებში, ქვ. კარაბულახის, ბოსლების, ჯავახის, დიდი დმანისის 2 ქუჩის, საკირის, მაშავერის, ამამლოს, გომარეთის, მთისძირის, განთიადის და ვარდისუბნში დაგეგმილია სასაფლაოზე მისასვლელი გზის მოასფალტება რომლის მანძილიც შეადგენს 12,3 კმ., ხოლო სოფელ გომარეთში და საკირეში შიდა გზების მოხრეშვა და სანიაღვრე არხების მოწყობა. გარდა ზემოთ აღნიშნულისა გაგრძელდება დმანისი-საფარლოს გზიდან სოფელ ირგანჩაის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია, დ.დმანის-დმანისი-გომარეთის სახელმწიფო დანიშნულების გზიდან სოფ. იფნარი-კიზლაჯლოს მისასვლელი გზის მოასფალტება და სოფ. ბოსლები-აზ. კაკლიანის მისასვლელი გზის მოასფალტება-დასრულება, რომლის მანძილიც შეადგენს 11,6 კმ., ასევე დაგეგმილია კამარლო-შახმარლო გზის 2,4კმ-ის მოასფალტება.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

ჩატარებული სამუშაოების შედეგად მოდერნიზირებული და რეაბილიტირებული იქნება შიდა რაიონული მნიშვნელობის გზები, ასევე შეკეთდება და აღდგება ხიდები, რითაც მნიშვნელოვლად მოწესრიგდება თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიული ორგანოებთან მისასვლელი გზები.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საგზაო შემთხვევების შემცირებული რაოდენობა;
- რეაბილიტირებული გზების ზრდა 10%-ით.

2.2 კომუნალური ინფრასტრუქტურის მშენებლობა-რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02)



პროგრამის ფარგლებში განხორციელდება თვითმმართველი ერთეულების ტერიტორიული ორგანოებში წყალ-მომარაგების და გარე განათების ქსელის გაფართოება, არსებული ქსელის მოვლა-შენახვა და დაფინანსდება მის ექსპლუატაციასთან დაკავშირებული ხარჯები. უზრუნველყოფილი იქნება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა.

2.2.1. წყლის სისტემის რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 030201)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის სოფელებში სასმელი წყლის ქსელის სარიაბილიტაციო-სამუშაოები და მოსახლეობისათვის მაღალი ხარისხის წყლის მიწოდება.

2.2.2 ბინათმშენებლობა პროგრამული კოდი 03 02 02

ქვეპროგრამის ფარგლებში დაგეგმილია მუსიკალური სკოლის, კულტურის სახლის, საბავშვო ბაღის სახურავების და გათბობის სისტემის მოწყობა რეაბილიტაცია.

2.2.3 გარე განათების მოწყობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია (პროგრამული კოდი 03 02 03)

დღე-ღამის ნებისმიერ დროს მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელ პირობას წარმოადგენს მუნიციპალიტეტის განათება, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება არსებული ქსელის მოვლა-შენახვა, ასევე ქ. დმანისში და განთიადში დაგეგმილია გამორჩენილი ქუჩების გარე განათების მოწყობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები:

დმანისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წყალმომარაგების სისტემის რეაბილიტაცია. ბინათმშენებლობაში გათვალისწინებულია მრავალსართულიანი ბინების სახურავების მოვლა-შენახვა, გარე განათების ქსელის გაფართოება, ტერიტორიის დასუფთავება და მაწანწალა ცხოველებისგან დაცვა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საცხოვრებელი კორპუსების და ეზოების მდგომარეობის გაუმჯობესება;
- ქუჩების განათების ზრდა.
- საყოფაცხოვრებო ნარჩენებისაგან განთავისუფლება.

2.2.4. დასუფთავება (პროგრამული კოდი 03 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გავალისწინებულია ქალაქ დმანისის ყოველდღიური დაგვა-დასუფთავება, ხოლო სოფლებში შედარებით ნაკლები ინტერვალით ნარჩენების გატანა, ასევე გარე ქსელის ბუნკერების საყოფაცხოვრებო ნარჩენებისგან გათავისუფლება.

ქვეპროგრამის ფარგლებში ზამთრის პერიოდში განხორციელდება გზების ტექნიკური მარილით დამუშავება, ხოლო დიდ თოვლიანობის შემთხვევაში ჭარბი თოვლისაგან გათავისუფლება.

მუნიციპალიტეტში მაწანწალა ცხოველების არსებობა სხვადასხვა ვირუსული დაავადების და ცოფის გავრცელების ძირითად საფრთხეს წარმოადგენს, რისი გათვალისწინებითაც ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ცხოველების დაჭერა და მათი გადაყვანა სპეციალიზირებულ თავშესაფარაში, რითაც უზრუნველყოფილი იქნება მათი რაოდენობის მინიმუმამდე დაყვანა და შესაძლო საფრთხეების დავიდან აცილება.

2.3 მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 03 03)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების, შენობა-ნაგებობების საკადასტრო რუქებისა და ნახაზების მომზადება.



2.3.1 ქალაქის კეთილმოწყობის, საპროექტო დოკუმენტაციის და ნახაზების მომზადების ხარჯი (პროგრამული კოდი 03 03 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება ქუჩების შენობა-ნაგებობების საკადასტრო რუქებისა და ნახაზების მომზადება. ქალაქ დმანისში მინი სტადიონის მიმდებარე ტერიტორიაზე და აღმაშენებლის ქუჩის მოწყობა, ფეხბურთის მოედანზე სკამების და გასახდელების მოწყობა.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

- ქალაქ დმანისის კეთილმოწყობა
- შენობა-ნაგებობების საკადასტრო რუქებისა და ნახაზების მომზადება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- კეთილმოწყობილი დასასვენებელი ადგილების რაოდენობა;
- საკადასტრო რუქებისა და ნახაზების მოქალაქეთათვის ხელმისაწვდომობა;

3. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად თვითმმართველობის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს, რომლის ფარგლებში მომდევნო წლებში განხორციელდება საბავშვო ბაღების ფუნქციონირებისათვის საჭირო ხარჯების დაფინანსება, მათი რეაბილიტაცია და ინვენტარით უზრუნველყოფა. სკოლამდელი განათლების გარდა პრიორიტეტის ფარგლებში განხორციელდება ისეთი პროგრამების დაფინანსება, რომლებიც ხელს შეუწყობს მოსახლეობის დასაქმებას. ყველა ბაღში დაგეგმილია შენობების კაპიტალური შეკეთება და მათი ტერიტორიის კეთილმოწყობა.

3.1 სკოლამდელი განათლება (პროგრამული კოდი 04 01)

მუნიციპალიტეტში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს 8 საბავშვო ბაღი 11 ჯგუფით, სადაც დაწყებით განათლებას მიიღებს 320 ბავშვის ოდენობით, თითოეულ ჯგუფში დასაშვებია კონტიგენტი არაუმეტეს 35 ბავშვისა, რომელსაც ემსახურება 45 სამტატო ერთეული.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგები

- სკოლამდელი განათლების ხელმისაწვდომობა მოსახლეობის ყველა ფენისათვის;

შედეგების შეფასების ინდიკატორები:

- საბავშვო ბაღების და მათი აღსაზრდელების რაოდენობა

კეთილმოწყობილი საბავშვო ბაღები;

3.2. ზოგადი განათლების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 04 02)

მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ მიზანს წარმოადგენს ხელი შეუწყოს მოსახლეობას დასაქმებაში და მიცეს საშუალება დაეუფლონ იმ უნარ-ჩვევებს რაც ხშირ შემთხვევაში აუცილებელი პირობაა სტაბილური დასაქმებისათვის. აღნიშნული მიზნით პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება ინგლისურის, ქართული ენის ჯგუფები ეთნიკური უმცირესობისათვის და კომპიუტერული პროგრამების შემსწავლელი კურსები. სადაც ფუნქციონირებს 12 ჯგუფი და თითოეულ ჯგუფში გაერთიანებულია საშუალოდ 9-9 მოსწავლე. მუნიციპალიტეტის ყველა მაცხოვრებელს ექნება საშუალება შესაბამისი განაცხადის საფუძველზე გაიაროს აღნიშნული კურსები, რაც აამაღლებს მათ კვალიფიკაციას და ხელს შეუწყობს მათ შემდგომ დასაქმებას.



მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

- მუნიციპალიტეტის ზოგადსაგანმანათლებლო სექტორში კვალიფიციური პედაგოგების მოზიდვა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- მუნიციპალიტეტის ფარგლების გარედან მოწვეული პედაგოგების რაოდენობა;

4. კულტურა, სპორტი და ახალგაზრდობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 00)

მუნიციპალიტეტი ინფრასტრუქტურული და ეკონომიკური განვითარების პარალელურად აუცილებელია ხელი შეეწყოს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდობის მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, ადგილობრივი თვითმმართველობა განაგრძობს კულტურული ობიექტების ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პრობლემების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლინება. ასევე ახალგაზრდობაში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს;

4.1 სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)

პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა სპორტული ორგანიზაციების და კლუბების ფინანსური მხარდაჭერა, რათა მათ ქონდეთ შესაძლებლობა უზრუნველყონ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა და ნიჭიერი სპორტსმენების წახალისება.

2016 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და მოხდება მათი დაფინანსება:

- სპორტული სკოლა, რომელიც აერთიანებს 170-მდე სპორტსმენს;

4.1.1 სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 01 01)

ქვეპროგრამის მოიცავს სკოლის მოსწავლეთა ჩართულობას სპორტულ შეჯიბრებებში, რაც უდავო ასახვას ჰპოვებს შემდგომ ახალგაზრდა თაობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებაში.

2016 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში გაიმართება სხვადასხვა სპორტული შეჯიბრებები და ღონისძიებები, უზრუნველყოფილი იქნება სხვადასხვა ტურნირებზე და შეჯიბრებებზე ადგილობრივი სპორტსმენების მონაწილეობა, წახალისებიან წარმატებული სპორტსმენები სხვადასხვა ჯილდოთი.

4.1.2 სპორტული სკოლები (პროგრამული კოდი 05 01 02)

2016 წლის განმავლობაში ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სპორტული სკოლა, რომელშიც ფუნქციონირებს „ძიუდოს“ ორი-ორი ჯგუფი, „ქართული ჭიდაობის“, „ფეხბურთის“, „კარატე“, ფრენბურთის, ჭადრაკის, თავისუფალ ჭიდაობის, სამბოს, ხრიდოლის და კინგბოქსინგში თითო-თითო ჯგუფი სადაც გაერთიანებულია 170-მდე სპორტსმენი;

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

- ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრება;
- აქტიური სპორტსმენების რაოდენობის ზრდა.

შედეგების შეფასების ინდიკატორები



- ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა;
- სპორტის სხვადასხვა სახეობაში მედალოსან სპორტსმენთა რაოდენობა;

4.2 კულტურის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები, რომელიც ემსახურება ქართული და საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლების ხელოვნების დარგების აღდგენა-პროპაგანდას.

2016 წლის განმავლობაში პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება: კულტურის სახლი სადაც ჩამოყალიბებულია სხვადასხვა სახის წრეები რომელშიც სწავლობს 165-მდე მოსწავლე, ხოლო მუსიკალურსკოლებში სწავლობს-72-მდე მოსწავლე, სადაც ემსახურება 9 პედაგოგი, რომლის კვირეული დატვირთვა სავარაუდოს თითოეულ პედაგოგზე შეადგენს 18 საათს და მიმდინარეობს სწავლება ფორტეპიანოს განხრით, 4 ბიბლიოთეკა და „ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის დმანისის დრამატული თეატრი“.

პროგრამის ფარგლებში მოხდება კულტურის ობიექტების მოვლა-პატრონობა და რეაბილიტაცია;

4.2.1 კულტურის ცენტრის დაფინანსება (ქვეპროგრამის კოდი 05 02 01)

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, ასევე განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები, რომელიც ემსახურება ქართული და საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლების ხელოვნების დარგების აღდგენა-პროპაგანდას.

ქვეპროგრამის ფარგლებში 2016 წელს გაგრძელდება სხვადასხვა კულტურული ობიექტების ფინანსური მხარდაჭერა, 2016წლის განმავლობაში დაფინანსდება: კულტურის სახლი, მუსიკალური სკოლა, 4 ბიბლიოთეკა და „ზინაიდა კვერენჩხილაძის სახელობის დმანისის დრამატული თეატრი“.

4.2.2. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება (პროგრამული კოდი 05 02 02- 05 02 03-05-02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სუბსიდირება კულტურის, მუსიკალური სკოლისა და ბიბლიოთეკების გაერთიანება. ბიბლიოთეკების გაერთიანებაში ხორციელდება ბიბლიოგრაფიული და საინფორმაციო მუშაობის ხელშეწყობა, წიგნადი ფონდების შევსება დაკომპლექტება და სრული აღრიცხვა, ყველა ასაკის მკითხველის მომსახურება საჭირო ინფორმაციით და საბიბლიოთეკო დოკუმენტებით.

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები, რომელიც ემსახურება ქართული და საქართველოში მცხოვრებ სხვადასხვა ერისა და ეროვნების წარმომადგენლების ხელოვნების დარგების აღდგენა-პროპაგანდას. ორი სპექტაკლის დადგმადრამატული თეატრის.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

- კულტურული ცხოვრების დონის ამაღლება;
- კულტურის ობიექტების გამართული მუშაობა;

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- ჩატარებული კულტურული ღონისძიებების რაოდენობა;



კულტურის ობიექტების რაოდენობა და მდგომარეობა;

5. მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და მათი სოციალური დაცვა ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. ადგილობრივი თვითმმართველობა არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს სოციალურად დაუცველი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებითა და შეღავათებით უზრუნველყოფას. ერთიანი სახელმწიფო პოლიტიკის ფარგლებში გაგრძელდება საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის მიზნით ადგილობრივ დონეზე სხვადასხვა ღონისძიებების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს არა მხოლოდ მუნიციპალიტეტის, არამედ მთელი ქვეყნის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას სხვადასხვა გადაამდები და ინფექციური დაავადებებისაგან.

5.1. საზოგადოებრივი ჯანდაცვის მომსახურება (პროგრამული კოდი 06 01)

პროგრამა ითვალისწინებს სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში „საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული ფუნქციების დაფინანსებას, კერძოდ:

- არსებობის შემთხვევაში ცოფის კერის ლიკვიდაცია და დაკბენილი მოსახლეობის ზუსტი აღრიცხვა, სასწრაფო შეტყობინების სისტემის დახვეწა და გაუმჯობესება;
- დაავადებათა გავრცელების ეტაპობრივი შემცირება მისი კონტროლის გზით. ეპიდსიტუაციის გამწვავების დროული გამოვლენის ხელშეწყობა და მათზე სწრაფი რეაგირება, პროფილაქტიკურ ღონისძიებათა გატარება;
- მუნიციპალიტეტის მოსახლეობაში არაგადამდებ დაავადებათა პრევენციის და ჯანმრთელობაზე მავნე ფაქტორების ზემოქმედებაზე მოსახლეობის ინფორმირების გზით ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა;
- სადერატიზაციო სამუშაოების ჩატარება საცხოვრებელი სახლების სარდაფებსა და ბუნკერებში (კერძო სექტორის გარდა) და ამის საფუძველზე ქ. დმანისის და მის ტერიტორიაზე ეპიდსიტუაციის გაუმჯობესება;
- ჯანმრთელობისათვის მნიშვნელოვანი ინფექციური და არაგადამდები დაავადებებისა და მასობრივი მოშხამვების, აგრეთვე პროფესიული დაავადებების თავიდან აცილება;
- მუნიციპალიტეტში არსებული სანიტარულ-ჰიგიენური მდგომარეობის მონიტორინგი, მოსახლეობისათვის ჯანსაღი გარემოს შექმნის ხელშეწყობის მიზნით დმანისის მუნიციპალიტეტის დასახლებულ ტერიტორიებზე ადამიანისათვის საშიში და შხამიანი ცხოველების ცხოველმყოფელობის დადგენისა და გაუვნებელყოფის ღონისძიებები.

5.2. სოციალური პროგრამები (პროგრამული კოდი 06 02)

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა ფენებისათვის გარკვეული შეღავათებითა და სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი მიზნობრივი ტრანსფერის ფარგლებში კანონმდებლობით გათვალისწინებული სარიტუალო მომსახურების ხარჯების ანაზღაურებას, და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის სოციალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

5.2.1 ავადმყოფთა სოციალური დაცვა(პროგრამული კოდი 06 02 01)

ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები სოციალურად დაუცველი მოქალაქეებისათვის (სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ერთიან ბაზაში რეგისტრაციის მოწმობა, 0-დან 100000 ქულამდე) საკრებულოს მიერ დამტკიცებული პროგრამის ფარგლებში ოპერაციებზე დახმარების გაწევას, რომელიც სახელმწიფო პროგრამით არ ფინანსდება. ასევე



სოციალურად დაუცველი, შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების, მრავალშვილიანი ოჯახების, ონკოლოგიური და ლეიკემიით დაავადების მქონე პირების დახმარება, რომლებიც სახელმწიფო პროგრამით არ ფინანსდებიან და მარჩენალდაკარგული ოჯახების გამოკვლევა-მკურნალობით და მედიკამენტებით დახმარების პროგრამას.

5.2.2 უფასო სასადილოს დაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველი (მარტოხელა უკიდურესად გაჭირვებული), მყოფი 39-მდე ბენეფიციარის ყოველდღიურად ერთჯერადი კვება ცხელი კერძებით ბენეფიციერების მიერ სახლში გატანებით.

5.2.3 სოციალურად დაუცველთა ოპერაციის ხარჯები (პროგრამული კოდი 06 02 03)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია სოციალურად დაუცველთა რომელთა სარეიტინგო ქულა შეადგენს 100000-მდე სტაციონალური სამედიცინო ერთჯერადი დახმარება.

5.2.4 სარიტუალო მომსახურება (პროგრამული კოდი 06 02 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია:

- სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 250 ლარის ოდენობით;
- იძულებით გადაადგილებულ პირთა – დევნილთა დაკრძალვის ხარჯების ანაზღაურება, თითოეულ ბენეფიციარზე 250 ლარის ოდენობით;

5.2.5 მუნიციპალური ტრანსპორტით სტუდენტების, ვეტერნების და უსინათლოების მგზავრობის საფასურის ნაწილობრივი ხარჯები (პროგრამული კოდი 06 02 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სტუდენტების და უსინათლოების უფასო მგზავრობა თვეში დამტკიცებული 8 ტალონის გამოყენების შესაბამისად.

მოსალოდნელი საბოლოო შედეგი

- მუნიციპალიტეტის სოციალურად დაუცველი, უმწეო მდგომარეობაში მყოფი მოქალაქეების ცხოვრების პირობების გაუმჯობესება;

შედეგების შეფასების ინდიკატორები

- უმწეო მდგომარეობაში მყოფ მოქალაქეთა რაოდენობა, რომელთაც გაეწიათ სხვადასხვა ყოფითი სახის სტაციონალური დახმარება;
- მოსახლეობის სოციალური დახმარებების დროული უზრუნველყოფა

მუხლი 17. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თანდართული რედაქციით:

დასახელება	2015 წლის გეგმა				2016 წლის გეგმა			
	2014 წლის ფაქტი	სულ	მათ შორის		სულ	მათ შორის		
			სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები		სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები	საკუთარი შემოსავლები	
დმანისის მუნიციპალიტეტი	6,809.6	7,904.9	2,354.7	5,550.2	9,127.1	2,511.8	6,615.3	



	მომუშავეთა რიცხოვნობა	124.0	121.0	0.0	121.0	100.0	0.0	100.0
	ხარჯები	3,351.9	3,489.2	100.0	3,389.2	3,677.3	50.0	3,627.3
	შრომის ანაზღაურება	1,264.0	1,118.2	0.0	1,118.2	1,122.0	0.0	1,122.0
	თანამდებობრივი სარგო	896.9	839.1	0.0	839.1	1,010.1	0.0	1,010.1
	პრემია	367.1	277.3	0.0	277.3	111.9	0.0	111.9
	საქონელი და მომსახურება	874.4	901.1	100.0	801.1	1,001.3	50.0	951.3
	სუბსიდიები	1,046.9	1,131.5	0.0	1,131.5	1,318.0	0.0	1,318.0
	გრანტები	0.0	169.4	0.0	169.4	40.0	0.0	40.0
	სოციალური უზრუნველყოფა	166.6	161.0	0.0	161.0	178.0	0.0	178.0
	სხვა ხარჯები	0.0	8.0	0.0	8.0	18.0		18.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,457.7	4,398.0	2,247.4	2,150.6	5,419.8	2,461.8	2,958.0
	ძირითადი აქტივები	3,457.7	4,398.0	2,247.4	2,150.6	5,419.8	2,461.8	2,958.0
	ვალდებულების კლება	0.0	17.7	7.3	10.4	30.0	0.0	30.0
01 00	წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება	1,994.9	2,138.9	0.0	2,138.9	2,090.6	0.0	2,090.6
	მომუშავეთა რიცხოვნობა	94.0	94.0	0.0	94.0	94.0	0.0	94.0
	ხარჯები	1,814.6	1,787.2	0.0	1,787.2	1,850.3	0.0	1,850.3
	შრომის ანაზღაურება	1,070.2	1,066.4	0.0	1,066.4	1,066.7	0.0	1,066.7
	თანამდებობრივი სარგო	758.5	796.3	0.0	796.3	956.7	0.0	956.7
	პრემია	311.7	270.1	0.0	270.1	110.0	0.0	110.0
	საქონელი და მომსახურება	679.7	676.8	0.0	676.8	740.6	0.0	740.6
	სუბსიდია	12.0	32.0	0.0	32.0	0.0	0.0	0.0
	გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	20.0	0.0	20.0
	სოციალური უზრუნველყოფა	52.7	4.0	0.0	4.0	5.0	0.0	5.0
	სხვა ხარჯები	0.0	8.0	0.0	8.0	18.0	0.0	18.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	180.3	350.6	0.0	350.6	240.3	0.0	240.3



	ძირითადი აქტივები	180.3	350.6	0.0	350.6	240.3	0.0	240.3
	ვალდებულების კლება	0.0	1.1	0.0	1.1	0.0	0.0	0.0
01 01	დმანისის მუნიციპალიტეტის საკრებულო	474.4	443.2	0.0	443.2	399.8	0.0	399.8
	მომუშავეთა რიცხოვნობა	15.0	14.0	0.0	14.0	15.0	0.0	15.0
	ხარჯები	474.4	438.2	0.0	438.2	396.8	0.0	396.8
	შრომის ანაზღაურება	299.2	295.8	0.0	295.8	258.0	0.0	258.0
	თანამდებობრივი სარგო	210.4	221.5	0.0	221.5	228.0	0.0	228.0
	პრემია	88.8	74.3	0.0	74.3	30.0	0.0	30.0
	საქონელი და მომსახურება	175.2	142.4	0.0	142.4	138.8	0.0	138.8
	სუბსიდია	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	სხვა ხარჯები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	5.0	0.0	5.0	3.0	0.0	3.0
	ძირითადი აქტივები	0.0	5.0	0.0	5.0	3.0	0.0	3.0
	ვალდებულების კლება							
01 02	დმანისის მუნიციპალიტეტის გამგეობა	1,520.5	1,593.7	0.0	1,593.7	1,587.8	0.0	1,587.8
	მომუშავეთა რიცხოვნობა	79.0	80.0		80.0	79.0	0.0	79.0
	ხარჯები	1,340.2	1,247.0	0.0	1,247.0	1,350.5	0.0	1,350.5
	შრომის ანაზღაურება	771.0	770.6	0.0	770.6	808.7	0.0	808.7
	თანამდებობრივი სარგო	548.1	574.8	0.0	574.8	728.7	0.0	728.7
	პრემია	222.9	195.8	0.0	195.8	80.0	0.0	80.0
	საქონელი და მომსახურება	504.5	432.4	0.0	432.4	498.8	0.0	498.8
	სუბსიდია	12.0	32.0	0.0	32.0	0.0		0.0
	გრანტები	0.0	0.0	0.0	0.0	20.0	0.0	20.0
	სოციალური უზრუნველყოფა	52.7	4.0	0.0	4.0	5.0	0.0	5.0



	სხვა ხარჯები	0.0	8.0	0.0	8.0	18.0	0.0	18.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	180.3	345.6	0.0	345.6	237.3	0.0	237.3
	ძირითადი აქტივები	180.3	345.6	0.0	345.6	237.3	0.0	237.3
	ვალდებულების კლება	0.0	1.1	0.0	1.1	0.0		0.0
01 03	სარეზერვო ფონდი	0.0	100.0	0.0	100.0	100.0	0.0	100.0
	ხარჯები	0.0	100.0	0.0	100.0	100.0	0.0	100.0
	საქონელი და მომსახურება	0.0	100.0	0.0	100.0	100.0	0.0	100.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ძირითადი აქტივები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
01 04	წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებების დაფარვა	0.0	2.0	0.0	2.0	3.0	0.0	3.0
	ხარჯები	0.0	2.0	0.0	2.0	3.0	0.0	3.0
	საქონელი და მომსახურება	0.0	2.0	0.0	2.0	3.0	0.0	3.0
	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ძირითადი აქტივები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 00	თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება	228.0	229.0	0.0	229.0	65.0	0.0	65.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	30.0	27.0	0.0	27.0	6.0		6.0
	ხარჯები	228.0	229.0	0.0	229.0	65.0	0.0	65.0
	შრომის ანაზღაურება	193.8	51.8	0.0	51.8	55.3	0.0	55.3
	თანამდებობრივი სარგო	138.4	42.8	0.0	42.8	53.4	0.0	53.4
	პრემია	55.4	7.2	0.0	7.2	1.9	0.0	1.9
	საქონელი და მომსახურება	32.2	14.3	0.0	14.3	9.7	0.0	9.7
	გრანტები	0.0	160.9	0.0	160.9	0.0	0.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	2.0	2.0	0.0	2.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების							



	ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ძირითადი აქტივები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 01	საგანგებო სიტუაციების მართვა	164.0	165.0	0.0	165.0	0.0	0.0	0.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	21.0	21.0		21.0	0.0	0.0	0.0
	ხარჯები	164.0	165.0	0.0	165.0	0.0	0.0	0.0
	შრომის ანაზღაურება	139.2	1.8	0.0	1.8	0.0	0.0	0.0
	თანამდებობრივი სარგო	98.3	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	პრემია	40.9	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	საქონელი და მომსახურება	22.8	0.3	0.0	0.3	0.0	0.0	0.0
	გრანტები	0.0	160.9	0.0	160.9	0.0	0.0	0.0
	სოციალური უზრუნველყოფა	2.0	2.0	0.0	2.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ძირითადი აქტივები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
02 02	ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა	64.0	64.0	0.0	64.0	65.0	0.0	65.0
	მომუშავეთა რიცხოვნობა	6.0	6.0	0.0	6.0	6.0		6.0
	ხარჯები	64.0	64.0	0.0	64.0	65.0	0.0	65.0
	შრომის ანაზღაურება	54.6	50.0	0.0	50.0	55.3	0.0	55.3
	თანამდებობრივი სარგო	40.1	42.8	0.0	42.8	53.4	0.0	53.4
	პრემია	14.5	7.2	0.0	7.2	1.9	0.0	1.9
	საქონელი და მომსახურება	9.4	14.0	0.0	14.0	9.7	0.0	9.7
	სოციალური უზრუნველყოფა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
	ძირითადი აქტივები	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0	0.0
03 00	ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლუატაცია	3,579.0	4,444.7	2,354.7	2,090.0	5,695.5	2,511.8	3,183.7
	ხარჯები	343.1	420.0	100.0	320.0	486.0	50.0	436.0



	საქონელი და მომსახურება	128.2	180.0	100.0	80.0	216.0	50.0	166.0
	სუბსიდია	214.9	240.0	0.0	240.0	270.0	0.0	270.0
	არაფინანსური აქტივების ზრდა	3,235.9	4,017.4	2,247.4	1,770.0	5,179.5	2,461.8	2,717.7
